საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

N 4/26
10/06/2019

4-26-4-201906101059

პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების დოკუმენტების წარმოდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის „ა", „ო" და „პ" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 3 ივნისის N734 ბრძანების, საფინანსო დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 05 ივნისის №10480/10, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 5 თებერვლის N1793/31-05 და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 19 თებერვლის N2750/10 კორესპონდენციების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების დოკუმენტების წარმოდგენის ვადები.
2. დოკუმენტები მიიღება 2019 წლის 11 ივნისიდან 2019 წლის 13 ივნისის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №11 (თსუ მე- 3 კორპუსი, ოთახი № 107). აპელაციის ვადები: 2019 წლის 14 ივნისი 15:00-18:00 საათამდე.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმაში არსებული დოკუმენტები (დანართი N1)
4. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიას.
5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის შესაბამის სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თამარ გაგოშიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

დანართი N1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს პროფესორ თამარ გაგოშიძეს
ამავე ფაკულტეტის სტუდენტის

გვარი, სახელი ----------

დეპარტამენტი ----------

სწავლების საფეხური _ ბაკალავრიატი

სემესტრი (შემოხაზეთ) II, III, IV, V, VI, VII, VIII

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი საბუთები 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პროგრამის "სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" სტიპენდიის მოსაპოვებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური მოსწრების ფურცელი ამობეჭდილი სტუდენტის პირადი ბარათიდან და დამოწმებული მიმართულების სპეციალისტის მიერ.
2. სამეცნიერო ნაშრომები (2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის, შეფასება მაქსიმუმ 10 ქულა, ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მათ შორის

- ინტერნეტ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები, ნაშრომები; სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადებული სტატიები, ნაშრომები .

- საქართველოში, მათ შორის, თსუ-ს ფარგლებში, ან უცხოეთში გამოქვეყნებული საგაზეთო პუბლიკაციები;

- ქართულ, ან უცხოურ ბეჭდურ, ან ელექტრონულ გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები, მათ შორის, ანალიტიკური ცენტრების, სხვადასხვა ორგანიზაციების ეგიდის ქვეშ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები; თსუ-ს ფარგლებში, მათ შორის, ელექტრონულ ჟურნალებში, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ან/და სტატიები;

- საქართველოში გამოცემულ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები,

  ---

- რეცენზირებად უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;

  ---

3. სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობა (2018-2019 სასწავლო წლის შემოდგმოის სემესტრის, შეფასება - მაქსიმუმ 10 ქულა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) - მათ შორის

- სერთიფიცირებულ ტრენინგებში, მრგვალ მაგიდებში, სემინარებში მონაწილეობა;

- საქართველოში გამართულ თსუ-ს ფარგლებს გარეთ სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა;

- თსუ-ში ჩატარებულ საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, დეპარტამენტის, კათედრის სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა;

- ქვეყნის გარეთ გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა

- ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის, უნივერსიტეტის ფარგლებში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობა

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა

  ---

4. პირადობის მოწმობის ასლი

---

5. „საქართველოს ბანკის“ ანგარიშის ნომერი №

---

6. დამატებითი ინფორმაცია ----------

სტუდენტის ხელმოწერა ----------